

ქალაქ ქუთაისის საკრებულოს

დადგენილების დანართი №

1. პროგრამის დასახელება : საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა
2. პროგრამის განხორციელების ვადები: 01 იანვარი 2012 წელი
31 დეკემბერი 2012 წელი
3. პროგრამის დაფინანსების წყარო: ქალაქ ქუთაისის 2012 წლის ბიუჯეტი
4. პროგრამის ბიუჯეტი: 161 000 (ას სამოცდაერთი ათასი) ლარი
5. პროგრამის მიზანი: საქართველოს კანონით „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ გათვალისწინებული ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებების ფარგლებში ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.
6. განსახორციელებელი ღონისძიებები:
 - საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა;
 - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით, დერატიზაციის, დეზინფექციისა და საბონიფიკაციო ღონისძიებების ორგანიზება;
 - საგანმანათლებლო, აღმზრდელობით და საგანმანათლებლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისათვის ხელშეწყობა;
 - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა;
 - პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლისათვის;
 - პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას;
 - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა;

- ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება.

7. პროგრამის ხარჯთაღრიცხვა

№	ღონისძიებათა დასახელება	ერთეულის დასახელება	ღონისძიების სათვის საჭირო რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარებში)	ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო ხარჯი (ლარი)	შენიშვნა
1	მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება (პერსონალის ხელფასი)	თვე	12	6000	76 200	
2	ტრანსპორტირების, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯი				6 000	
3	მივლინება				2 000	
4	საოფისე ხარჯი				8 600	
5	სამედიცინო ხარჯი				1 000	
6	კაპიტალური ხარჯი				29 400	
7	დეზინფექცია, დეზინსექცია, დერატიზაციის და საბონიფიკაციო ღონისძიებები				15 000	
8	სხვა საზოგადოებრივი ჯანდაცვითი ღონისძიებები				22 800	
	სულ ხარჯი				161 000	

8. პროგრამით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პერსონალი

№	თანამდებობა	რაოდენობა	შრომის ანაზღაურების მოცულობა (ლარი)	შრომის ანაზღაურება ერთ თვეში (ლარი)	მთლიანი ხარჯი შრომის ანაზღაურებაზე წელიწადში (12 თვე)
1	კოორდინატორი	1	550	550	6 600
2	მთავარი სპეციალისტი	7	500	500 X 7 = 3500	42000

3	წამყვანი სპეციალისტი	3	450	$450 \times 3 = 1350$	16200
4	სპეციალისტი	2	350	$350 \times 2 = 700$	8400
5	დამხმარე პერსონალი	1	250	250	3000
	სულ	14		6350	76200

9. მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება გადამდები და განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების კერების ლიკვიდაცია

10. შეფასების კრიტერიუმები: ეპიდაფეთქებების არარსებობა, იმუნიზირებული მოსახლეობის რაოდენობა, ჯანსაღი მოსახლეობა

11. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: ქ. ქუთაისის მერის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ლტოლვილთა სამსახური

სამსახურის უფროსი

კახა ქორიძე

შეთანხმებულია:

ნიკო კაჭკაჭიშვილი

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე